ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №218749

ნომერი: AR156522

თარიღი : 06.06.2012

გაცემის თარიღი : 21.06.2012

გაცნობის თარიღი : 22.06.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ტერენტი გრანელი , N 10-12 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლაშა დანელია პ/ნ 01008027130
- თბილისი აკ.შანიძის ქ. N 2

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს. აზიმუტი კოდი: 208146095

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- ესკიზის წინასწარი შეთანხმება

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 208146095
- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: მთ. არქიტექტორი: ლაშა დანელია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "აზიმუტი"

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ

თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ''ბ'' ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-2 პუნქტის ''ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად წარედგინა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილ სათათბირო ორგანოს - გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდურ საბჭოს (ოქმი N24, 12.06.12 წ.), რომლის დასკვნის საფუძველზეც უარი ეთქვა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ტერენტი გრანელის ქ. NN10–12-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ესკიზური პროექტის წარმოდგენილ ვარიანტს საბჭოს წევრების რეკომენდაციების გათვალისწინებით: "შენობა დანაწევრდეს".

სამსახურმა გაითვალისწინა საბჭოს გადაწყვეტილება და მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ განმცხადებელს, მოქ. ლ. დანელიას უარი უნდა ეთქვას თხოვნის დაკმაყოფილებაზე

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. უარი ეთქვას მოქ. ლ. დანელიას ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში, ტერენტი გრანელის ქ. N10–12–ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ესკიზური პროექტის წარმოდგენილი ვარიანტის შეთანხმების თაობაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.